# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 137

„3" ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო ქუჩას მიენიჭოს ამერიკაში მოღვაწე გამოჩენილი ქართველი ემიგრანტის, მოქანდაკის, გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილის, სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X_480906.2274
Y_ 4626405.0306
გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილის ქუჩა
X_481237.9728
Y_ 4626416.586